

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 211 374	1 008 125	630 255
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	572 484	322 228	287 796
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	163 682	129 495	370 472
მარაგები	212 373	196 307	231 267
სხვა	212 373	196 307	231 267
სხვა მოკლევადიანი აქტივები	90 481	23 139	50 541
სხვა არამატერიალური აქტივები	389 250	398 151	398 151
ძირითადი საშუალებები	608 202	623 967	727 099
სულ აქტივები	3 247 846	2 701 412	2 695 581
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	111 692	149 868	241 372
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	400 805	452 840	474 922
საგადასახადო ვალდებულებები	186 154	200 480	95 603
გამოუმუშავებელი შემოსავალი	94 980	0	99 901
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	63 600	34 421	1 460
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	134 111	308 771
სხვა ვალდებულებები	206 893	215 710	324 625
სულ ვალდებულებები	1 064 124	1 187 430	1 546 654
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	671 015	736 055	736 055
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1 512 707	777 927	488 212
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	2 183 722	1 513 982	1 224 267
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0	0	-75 340
სულ საკუთარი კაპიტალი	2 183 722	1 513 982	1 148 927
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3 247 846	2 701 412	2 695 581
სულ მოკლევადიანი აქტივები	2 250 394	1 679 294	1 570 331

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	15 575 143	9 214 740
მომსახურების გაწევიდან	15 575 143	9 214 740
გაყიდვების თვითღირებულება	-11 865 455	-7 288 196
საერთო მოგება	3 709 688	1 926 544
სხვა საოპერაციო შემოსავალი	45 891	100 329
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1 246 385	-618 606
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-109 866	-127 926
საპროცენტო შემოსავალი	408	2 196
საპროცენტო ხარჯი	-6 081	-21 529
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1 403 212	-859 015
სულ საოპერაციო ხარჯები	-2 719 245	-1 524 551
საოპერაციო მოგება	990 443	401 993
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	3 312	-2 101
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-54	-42 670
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	993 701	357 222
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	993 701	357 222
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	993 701	357 222
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	993 701	357 222
მოგება / (ზარალი)	993 701	357 222
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	993 701	357 222
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	993 701	357 222
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1 513 982	1 148 927
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-323 961	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	7 833
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 190 021	1 156 760

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	616 921	642 218
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-136 072	-208 921
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-281 061	35 391
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	199 788	468 688
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	3 461	-90 818
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1 008 125	630 255
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 211 374	1 008 125

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

ჯორჯიან ჰოსფიტალითი გრუპ („კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრი (ს/კ 204544699) კომპანია შვილობილ კომპანიებთან ერთად ოპერირებს საქართველოს ტერიტორიის სფეროში.

კომპანიის მესაკუთრეები არიან:

საბა კიკნაძე	40%
სოფო მამარდაშვილი	45%
ნიკოლოზ ერქომაიშვილი	10%
მაია კიკნაძე	5%
სულ	100%

ჯგუფის შვილობილი კომპანიები:

სახელი	წილობრივი მარეგისტრირებულები		
	2022	2021	
შპს კავკასუს ტრეველი	95%	95%	ტურიზმი
შპს ჯორჯიან ივენთი	100%	100%	დონისძიებების მართვა
შპს ექსპლორ ჯორჯია	100%	100%	ტურიზმი
შპს სითი აუტო	100%	100%	ტურიზმი
შპს კავკასიან საფარი	100%	100%	ტურიზმი
შპს პარტიტურ ორქესტრატედ ლოჯისტიკს	46%	46%	პროგრამული უზრუნველყოფა ტურისტული სფეროსთვის
შპს კავკასუს ლაიფსტაილი	50%	50%	ტურიზმი
შპს ლიბერთი ინტერნეიშენალ	49%	49%	ტურიზმი

შპს ექსპლორ ჯორჯია

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წილობრივი მონაწილეობა:

დასახელება	წილის მოცულობა
შპს „ჯორჯიან ჰოსფიტალითი გრუპ“	100%

- საფირმო სახელწოდება: შპს ექსპლორ ჯორჯია
- სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- საიდენტიფიკაციო ნომერი: 204459629

- რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 06/4-1577; 31/05/2004
- მარეგისტრირებული ორგანო: კრწანისი-მთაწმინდის სასამართლო
- იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ჭონქაძის ქ., N5
- საქმიანობა: ტურიზმი

შპს კავკაზუს ტრაველი

კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წილობრივი მონაწილეობა:

დასახელება	წილის მოცულობა
შპს „ჯორჯიან ჰოსფიტალითი გრუპ“	95%
მაია კიკნაძე	5%

- საფირმო სახელწოდება: შპს კავკაზუს ტრაველი
- სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- საიდენტიფიკაციო ნომერი: 203837884
- რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 4/4-335; 04/03/1996
- მარეგისტრირებული ორგანო: მთაწმინდის რ-ნის სასამართლო
- იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, მეტეხის ქ., №19 / საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ფერისცვალების ქ., №20 №22
- საქმიანობა: შემომყვანი ტურიზმი

შპს ჯორჯიან ივენტს

კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წილობრივი მონაწილეობა:

დასახელება	წილის მოცულობა
შპს „ჯორჯიან ჰოსფიტალითი გრუპ“	100%

- საფირმო სახელწოდება: შპს ჯორჯიან ივენტს
- სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- საიდენტიფიკაციო ნომერი: 206241057
- რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 6474/007-შპს; 19/04/2006
- მარეგისტრირებული ორგანო: თბილისის საგადასახადო ინსპექცია
- იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, მეტეხის აღმართი, №22
- საქმიანობა: ღონისძიებების მოწყობა

შპს ლიბერთი ინტერნეშენალ

კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წილობრივი მონაწილეობა:

დასახელება	წილის მოცულობა
შპს „ჯორჯიან ჰოსფიტალითი გრუპ“	49%
სააქციო საზოგადოება ლიბერთი ინტერნეშენალ, FL0001.124.529-1, ლიხტენშტეინი	51%

- საფირმო სახელწოდება: შპს ლიბერთი ინტერნეშენალ
- სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- საიდენტიფიკაციო ნომერი: 406202210
- რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 22/02/2017
- მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, მეტეხის ქ., №19, ფერიცვალების ქ., №20, №22, კოერციული ფართი №2
- საქმიანობა: ტურიზმი

შპს პარტიტურ ორქესტრატელ ლოჯისტიკს

კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წილობრივი მონაწილეობა:

დასახელება	წილის მოცულობა
შპს „ჯორჯიან ჰოსფიტალითი გრუპ“	49%
მაია კიკნაძე	30%
თამარ სიღამონიძე	12%
გვანცა რაზმაძე	12%

- საფირმო სახელწოდება: შპს პარტიტურ ორქესტრატელ ლოჯისტიკს
- სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- საიდენტიფიკაციო ნომერი: 406261352
- რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 18/10/2018
- მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ქუჩა მეტეხის, N 19, და ფერიცვალების ქ., N20, N22, კომერციული ფართი N2;
- საქმიანობა: პროგრამული უზრუნველყოფა.

შპს კაუკაზუს ლაიფსტაილ

კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წილობრივი მონაწილეობა:

დასახელება	წილის მოცულობა
შპს „ჯორჯიან ჰოსფიტალითი გრუპ“	50%
აილინ ბაგირლი, აზერბაიჯანი	50%

- საფირმო სახელწოდება: შპს კაუკაზუს ლაიფსტაილ
- სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- საიდენტიფიკაციო ნომერი: 406220441
- რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 18/08/2017
- მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, მეტეხის ქ. N 19 და ფერიცვალების ქ. N20, N22
- საქმიანობა: ტურიზმი.

შპს სი თი აუტო

კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წილობრივი მონაწილეობა:

დასახელება	წილის მოცულობა
შპს „ჯორჯიან ჰოსფიტალითი გრუპ“	100%

- საფირმო სახელწოდება: შპს სი თი აუტო
- სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- საიდენტიფიკაციო ნომერი: 204536742
- რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 20/08/2007
- მარეგისტრირებელი ორგანო: თბილისის საგადასახადო ინსპექცია
- იურიდიული მისამართი: საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, ლესია უკრაინკა, ქ. №3, ბინა №4
- საქმიანობა: სატრანსპორტო მომსახურება

შპს CAUCASIAN SAFARI

კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წილობრივი მონაწილეობა:

დასახელება	წილის მოცულობა
შპს „ჯორჯიან ჰოსფიტალითი გრუპ“	100%

- საფირმო სახელწოდება: შპს CAUCASIAN SAFARI
- საიდენტიფიკაციო ნომერი: 406054898

- რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 20/09/2011
- მარეგისტრირებელი ორგანო: საჯარო რეესტრი
- იურიდიული მისამართი: თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მეტეხის ქ., № 19 / საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, ფერიცვალების ქ., № 20, № 22
- საქმიანობა: ტურისტული.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგების, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კონსოლიდირების საფუძველი

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ინვესტირების ობიექტებს, სტრუქტურირებული კომპანიების ჩათვლით, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი, რადგანაც ჯგუფს (i) აქვს უფლებამოსილება ხელმძღვანელობა გაუწიოს ინვესტირების ობიექტების შესაბამის საქმიანობას, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ შემოსავალზე, (ii) ექვემდებარება ან უფლება აქვს მიიღოს ცვალებადი შემოსავლები ინვესტირების ობიექტებთან ურთიერთობიდან და (iii) შეუძლია ინვესტირების ობიექტებზე თავისი ძალაუფლება გამოიყენოს ინვესტორის მოგებაზე ზემოქმედების მოსახდენად. მატერიალური უფლებების, მათ შორის, მატერიალური პოტენციური ხმის მიცემის უფლებების არსებობა და ზემოქმედება, მხედველობაში მიიღება იმის შეფასებისას, აქვს თუ არა

ჯგუფს ძალაუფლება სხვა კომპანიაზე. იმისთვის, რომ უფლება მატერიალური იყოს, მის მფლობელს უნდა ჰქონდეს ამ უფლების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა მაშინ, როცა საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება ინვესტირების ობიექტის შესაბამისი საქმიანობის ხელმძღვანელობის შესახებ. ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე მაშინაც კი, თუ ის ინვესტირების ობიექტში ხმის უფლების უმრავლესობაზე ნაკლებს ფლობს. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი აფასებს თავისი ხმის უფლებების მოცულობას ხმის უფლების მქონე სხვა პირთა ხმების მოცულობასა და გავრცელებასთან მიმართებაში იმის განსაზღვრისთვის, აქვს თუ არა მას ფაქტიური ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე. სხვა ინვესტირების დაცვითი უფლებები, როგორიცაა, უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირების ობიექტის საქმიანობის ფუნდამენტურ ცვლილებებთან ან რომლებიც მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში გამოიყენება, არ აფერხებს ჯგუფის მიერ ინვესტირების ობიექტის კონტროლს. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია იმ თარიღიდან, როცა კონტროლი გადაეცემა ჯგუფს (შეძენის თარიღი) და დეკონსოლიდირებულია კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი კომპანიების შეძენის ასახსნელად. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და პასივები და ნაკისრი გაუთვალისწინებელი ვალდებულებები ფასდება შეძენის თარიღს მათი სამართლიანი ღირებულებით, განურჩევლად აქციათა არასაკონტროლო პაკეტის მოცულობისა.

ჯგუფი განსაზღვრავს აქციათა არასაკონტროლო პაკეტს, რომელიც წარმოადგენს ამჟამინდელ წილობრივ მონაწილეობას და მფლობელს ანიჭებს უფლებას წმინდა აქტივების პროპორციულ წილზე ლიკვიდაციის შემთხვევაში, რიგ თანმიმდევრულ გარიგებებთან მიმართებაში: (ა) სამართლიანი ღირებულებით ან (ბ) შესაძენი კომპანიის წმინდა აქტივების პროპორციულ წილზე აქციათა არასაკონტროლო პაკეტში. აქციათა არასაკონტროლო პაკეტი, რომელიც არ წარმოადგენს ამჟამინდელ წილობრივ მონაწილეობას, განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით.

გუდვილი განისაზღვრება შესაძენი კომპანიის წმინდა აქტივების გაქვითვით შესაძენი კომპანიისთვის გადარიცხული მთლიანი თანხიდან, შესაძენი კომპანიაში აქციათა არასაკონტროლო პაკეტის თანხიდან და შესაძენი კომპანიაში წილის სამართლიანი ღირებულებიდან, რომელსაც ფლობს უშუალოდ შეძენის თარიღამდე. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“ ან „ხელსაყრელი შეძენა“) აღიარებულია მოგებასა ან ზარალში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა გადააფასებს, განსაზღვრა თუ არა მან ყველა შეძენილი აქტივი და პასივი და ნაკისრი გაუთვალისწინებელი ვალდებულებები და განიხილავს მათი შეფასების მიზანშეწონილობას.

შესაძენი კომპანიისთვის გადარიცხული თანხა ფასდება უარყოფითი აქტივების სამართლიანი ღირებულებით, გაცემული წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტებითა და ნაკისრი ვალდებულებებით, პირობითი ანაზღაურების შესახებ შეთანხმებებიდან აქტივების ან პასივების სამართლიანი ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ მოიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა, საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასებითი და მსგავსი პროფესიული მომსახურება. შეძენასთან დაკავშირებული და წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტების გაცემისას გაწეული ხარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში სასესხო ვალდებულებების გაცემისას გაწეული საოპერაციო ხარჯები გაიქვითება სესხის საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა საოპერაციო ხარჯი ჩამოწერილ იქნება ხარჯების სახით.

კომპანიათაშორისი გარიგებები, ბალანსები და არარეალიზებული მოგება ჯგუფის კომპანიებს შორის გარიგებებიდან ლიკვიდირებულია; ასევე ლიკვიდირებულია არარეალიზებული მოგება, თუ ხარჯი ვერ იქნება ანაზღაურებული. კომპანია და მისი შვილობილი კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის ერთიან პოლიტიკას, რომელიც შესაბამისობაშია ჯგუფის პოლიტიკასთან.

აქციათა არასაკონტროლო პაკეტი წარმოადგენს საბოლოო შედეგებისა და შვილობილი კომპანიის საკუთარი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია აქციათა პაკეტთან, რომელსაც, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ ფლობს კომპანია. აქციათა არასაკონტროლო პაკეტი ქმნის ჯგუფის საკუთარი კაპიტალის ინდივიდუალური კომპონენტს.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული საადრიცხო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ჯგუფის საქმიანობა არ შეჩერებულა Covid 19-ის გამო დაწესებული შეზღუდვებით, მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, განაახლა საპროგნოზო მონაცემები. ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით ჯგუფმა მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩევლის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარგულირებადი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების

პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეუროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის

შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

დასახელება	საციცოცხლო ვადა
ოფისის ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია აღიარდება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საფუძველზე არამატერიალური აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, თუკი ასეთი ვადა არ არის განუსაზღვრელი. არამატერიალური აქტივებისთვის, განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით, გამოიყენება გაუფასურების ტესტი ყოველწლიურად. სხვა არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან გამოყენების ბოლო თარიღამდე. მათი სასარგებლო მომსახურების ვადა ვადა არის 10 წელი.

ამორტიზაციის ხანგრძლივობა და მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და ახიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიკური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე. კომპანია, როგორც

მოიჯარე საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

შემოსავალი აღიარდება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს. ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის ტურისტული და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავალი ტურისტული და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობიდან

კომპანია მომხმარებლებს აწვდის ტურისტულ მომსახურებას. შემოსავალი რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის ტურისტული მომსახურება, აღიარდება დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (დღეს მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი ჯგუფში რჩება თუ დივიდენდების სახით გაიშვება).

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

სასაქონლო მატერიალური ფასულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

ღივიდენდები

ღივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი ღივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი დაკავშირებულია პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი შემოსავალი მოგებისგან განსხვავდება იმ მუხლებით, რომელიც შესაძლებელია არასდროს დაიბეგროს ან გამოიქვითოს საანგარიშგებო პერიოდში, მაგრამ დაიბეგროს და გამოიქვითოს სხვა პერიოდში.

პერიოდის საშემოსავლო გადასახადი გამოითვლება საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული განაკვეთის გამოყენებით.

გადავადებული გადასახადი არის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებისა და საგადასახადო ბაზების დროებითი განსხვავებების მომავალი საგადასახადო შედეგები. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება თუ ისინი წარმოიქმნება შემდეგ გარემოებებში: გუდვილის თავდაპირველი აღიარება; ან აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება, რომელიც გავლენას არ ახდენს ბუღალტრულ და დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული გადასახადის ოდენობა დაფუძნებულია აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მოსალოდნელ ანაზღაურებასთან ან ანგარიშსწორებაზე, ფინანსური მდგომარეობის თარიღისთვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.

ჯგუფი არ აღიარებს გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებს ან გადავადებულ საგადასახადო აქტივებს, რომელიც დაკავშირებულია ინვესტიციებთან შვილობილი კომპანიებში, ერთობლივ საწარმოებში და ასოციაციებში, სადაც მშობელ კომპანიას შეუძლია გააკონტროლოს დროებითი განსხვავებები და არ მიიჩნევა დასაშვად, რომ დროებითი განსხვავებები გადაიხედოს უახლოეს მომავალში. ეს არის ჯგუფის პოლიტიკა, რომელიც ჯგუფში წარმომადგენელი მოგების რეინვესტირებას ახდენს.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სავარაუდოა, რომ მომავალში დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება, რომლის მიხედვითაც აქტივის გამოყენება შეიძლება. გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხდება ფინანსური მდგომარეობის თითოეული თარიღისთვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც ის აღარ არის სავარაუდო, რომ საკმარისი დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება აქტივების ყველა ან ნაწილზე.

ხარჯებისა და შემოსავლების აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დამშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დამშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის მნიშვნელობაზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დამშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრი მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება,

მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ჯგუფი დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

თ. სიღმონიძე

